

რუსიკო კობახიძე

სტალინის ორი სახე-ხატი

ჩვენს სულიერ ცხოვრებაში ყოველთვის არსებობს ყოველდღიური ცხოვრების მკვლარი ნარჩენები ან მკვლარი პროლეტები. და ხშირად ადამიანი აღმოაჩენს, რომ ეს მკვლარი ნარჩენები ცხოვრების მთელ სივრცეშია განფენილი და ცოცხალი გრძნობისთვის, ცოცხალი აზრისთვის, ჭეშმარიტი ცხოვრებისთვის ადგილს არ ტოვებს¹.

*Yuri Zhdanov is quoted as reporting a family argument in which Vasilii, Stalin's younger son, stated that he is a Stalin too! According to Zhdanov, Stalin replied: 'No you're not ... you're not Stalin and I'm not Stalin. Stalin is Soviet power. Stalin is what he is in the newspapers and portraits, not you, no not even me.'*²

ფრანგი ფილოსოფოსი, ლუი მარინი წერდა, რომ მეფეს მისი პორტრეტი ქმნის³. სწორედ ამ პორტრეტს ეყრდნობა მისი ძალაუფლება. ესაა ხატი, სიმბოლო, რომელშიც აკუმულირდება და გამოიხატება ის იდეა, რომელიც მასების სამართავადაა აუცილებელი, სიმბოლო ღრმად ილექება კოლექტიურ ცნობიერებაში და განსაზღვრავს ადამიანთა დამოკიდებულებებს, ღირებულებებს, ქცევას. სიმბოლური ამროვნება წმინდა რაციონალური ამროვნებისგან განსხვავებით ცნობიერების ღრმა შრეებამდე ჩადის და მისი მოქმედება გაცილებით ეფექტიანია, რადგან სიმბოლოს გააზრება ბოლომდე არასოდეს ხდება. ის თავის თავში მოიცავს უამრავ ასოციაციურ ქვეშრეს, რომელიც საუკუნეების მანძილზე დალექილია ადამიანის ქვეცნობიერში.

ამიტომ, როცა ხატი-სიმბოლოს ეფექტზე ვსაუბრობთ, მხედველობაში მისაღებია მისი მოქმედების განგრძობადი ხასიათი და ზემოქმედების ძლიერი მექანიზმი. თანამედროვე პოსტსაბჭოთა სივრცეში ასეთი ძლიერი ხატი-სიმბოლო არის სტალინის ფიგურა, რომლის აჩრდილიც დღემდე უჩუმრად განსაზღვრავს გოგალიტარულ წარსულთან ჩვენი საზოგადოების დამოკიდებულებებს.

სტალინის ფენომენის მიმართ ქართულ და არა მარტო ქართულ საზოგადოებაში ამბივალენტური დამოკიდებულებაა, თუმცა ყველა თანხმდება, რომ საბჭოთა გოგალიტარული სახელმწიფოს ქვაკუთხედი სწორედ მისი ფიგურაა. ამიტომ, საბჭოთა წარსულის გააზრებისა თუ გადააზრების პროცესში მისი სახე-ხატის გახსნასა და ანალიზს საკვანძო მნიშვნელობა აქვს.

მაინც რა არის სტალინი? ზემოდან მოვლენილი გრანსცენდენტური ბოროტება თუ საზოგადოებრივი განწყობების ნაშობი მონსტრი? მგონია, რომ სტალინის ფენომენის გააზრებისას ამ კითხვაზე პასუხი ძალზე მნიშვნელოვანია, რადგან მისტიური ბოროტების აღქმაზე დაფუძნებული გააზრების პროცესი ძირშივე კლავს საკითხის კომპლექსურ ანალიზს, ახალისებს „გირანი-მსხვერპლის“ კონცეპტზე აგებულ ანგისაბჭოთა მიდგომებს და უგულებელყოფს საზოგადოების როლსა და პასუხისმგებლობას გოგალიტარული რეჟიმის ფორმირებასა და შენარჩუნებაში.

¹ მაჰარაშტრე, მ. (2011) *ცნობიერების გეოლოგია*. თბილისი: ქართული ბიოგრაფიული ცენტრი, გვ. 20

² Montefiore, S. S. (2007) *Young Stalin*. New York: Alfred A. Knopf, p. 4.

³ Marin, L. (1988) *Portrait of the king*. Minneapolis: University of Minnesota Press, p. 218

წინამდებარე ესეს, რა თქმა უნდა, ვერ ექნება პრეტენზია, ამ საკითხის ფუნდამენტურ განხილვაზე. ის წარმოადგენს დაკვირვებას სტალინის ფენომენის რამდენიმე მახასიათებელზე და ეცდება, მოხაზოს კონტურები, რომლებიც სტალინის სახე-ხატის ფორმირებასთანაა დაკავშირებული და აჩვენოს ამ სახე-ხატის შემოქმედების ზოგიერთი ასპექტი თანამედროვე ქართული საზოგადოების ცნობიერებაზე საბჭოთა წარსულის გააზრების კუთხით.

მართალია, ამ ესეში წარმოდგენილი მსჯელობა ძირითადად ქართულ საბჭოთა და პოსტსაბჭოთა სივრცეს შეეხება და ვერ გადაწვდება რუსული საზოგადოებრივი განწყობების არეალს, მაგრამ ვფიქრობ, სტალინის ფენომენის, როგორც საერთო-საბჭოთა მოვლენის ამ კუთხით დანახვა „რუსეთის კვლევებისთვისაც“ რელევანტური იქნება.

სტალინის, როგორც ერთპიროვნული მმართველის, ძლიერი სტრატეგოსის, ყოვლადბრძენი და ძლევამოსილი ბელადის სახე-ხატის შექმნისა და მასებში ინდოქტრინიზაციისთვის მთელი სახელმწიფო მანქანა იყო მობილიზებული 1930-იანი წლებიდან (სანამ სტალინის ძალაუფლება გაძლიერდებოდა, ბოლშევიკები ასე თუ ისე ნაკლებად ეხებოდნენ კულტურას. ფიქრობდნენ, რომ ის პოლიტიკის მიღმა უნდა იდგას. დაშვებული იყო არაპოლიტიკური ლიგერატურა და ხელოვნება⁴). საბჭოთა პროპაგანდა, რომელშიც პარტიულ ორგანოებთან ერთად კულტურის ყველა სფეროც ჩაერთო, მიზანმიმართულად და შეხმატბილებულად ძერწავდა დიადი ბელადის პორტრეტს.

საბჭოთა გაზეთების პირველ გვერდებზე დომინირებდა მისი პორტრეტი. ის იყო „სოციალიზმის გამარჯვებათა, საამური და ბედნიერი ცხოვრების შექმნის დიადი სიმბოლო“. ის მოიამრებოდა იმ სინათლის წყაროდ, რომელიც ეუფინებოდა და განსამღვრავდა ყველა „კეთილ“ მოვლენას. ცეკას გენერალურ მდივანს არასოდეს მოიხსენიებდნენ მსაზღვრელ-ეპითეტების გარეშე. საბჭოთა კავშირის ხალხთა და მთელი მსოფლიოს მშრომელთა დიდი ბელადი (великий вождь советского народа и трудящихся всего мира), სოციალიზმის უდიდეს გამარჯვებათა ორგანიზატორი (организатор великих побед социализма), დიდი სტალინი (великий Сталин), დიდი ბელადი (великий вождь), მსოფლიო პროლეტარიატის ბელადი (вождь всемирного пролетариата), ბოლშევიკურ გამარჯვებათა ორგანიზატორი (организатор большевистских побед), უდიდესი ორგანიზატორი (великий организатор), მშრომელი კაცობრიობის მესაჭე (кормчий трудящихся всего человечества), დიდი ბელადი და მასწავლებელი (великий вождь и учитель), სოციალიზმის ისტორიულ გამარჯვებათა ორგანიზატორი და სულისჩამდგმელი (организатор и вдохновитель исторических побед социализма), პროლეტარული რევოლუციის დიდი არწივი (горный орел пролетарской революции), კაცობრიობის გენიოსი და პროლეტარიატის ბელადი (гений человечества и вождь всемирного пролетариата)⁵.

სოვიეტოლოგი ანიტა პიში შენიშნავს, რომ სტალინის პორტრეტის შექმნისას მის პოსტერებზე არ იყო გამომწვეული მისი, როგორც ადამიანის, პიროვნული თვისებების გამოხატვა, მეტიც, მიზანი არ იყო მისი წარმოჩენა, როგორც ლიდერის. მისი პერსონა კონსტრუირდა არქეტიპულ და მისტიკურ ხაზებში,

⁴ Kenez, P. (1985) *The Birth of Propaganda State*. New York: Cambridge University Press, p. 12

⁵ კობახიძე, რ. "საბჭოთა პროპაგანდისტული მოდელის ზოგიერთი ასპექტი (გაზეთი "კომუნისტის" 1936-37 წლების საგაზეთო ენა). ისტორიის რეკონსტრუქციები, 3 (იბეჭდება).

რათა სიმბოლიზირებულიყო ბოლშევიზმის არსებით მახასიათებლებად და უფრო კონკრეტული ორგანიზაციების – პარტიისა და სახელმწიფოს გამოხატულებად⁶.

თუმცა სტალინის კულტის ფესვები უფრო ღრმა, ისტორიულ არქეტიპებს ეფუძნება. ჯერ კიდევ რუსმა ფილოსოფოსმა, ნ. ბერდიაევმა აღწერა ბოლშევიზმის ფენომენში ჩადებული თვითმპყრობელობისა და რელიგიური მისტიციზმის ფესვები თავის ცნობილ წიგნში, „Истоки и смысл русского коммунизма“⁷: „სწავლება, რომელიც საფუძვლად ედება ისეთ გოგალიგარულ ღოქტრინას, რომელიც ცხოვრების მთელ სისავსეს მოიცავს – არა მხოლოდ პოლიტიკასა და ეკონომიკას, არამედ აზროვნებასაც, ცნობიერებასაც და მთელ კულტურულ შემოქმედებას – მხოლოდ რწმენის საგანი შეიძლება იყოს“⁸. ბერდიაევი ბოლშევიზმის მთავარ საყრდენ კონცეპტებად თვითმპყრობელურ აბსოლუტიზმს მიიჩნევს, რომელიც თავის მხრივ ორთოდოქსული რწმენის რუსული ვარიაციიდანაა ამომრდილი. ის ამ მოვლენას უკავშირებს რუსი ნაციის უნიკალურ თვისებას – დასავლური და აღმოსავლური ელემენტების ორთაბრძოლის შედეგად ისტორიულად ჩამოყალიბებულ მიდრეკილებას მისტიციფიკაციისადმი: „მხოლოდ რუსული სულისთვისაა დამახასიათებელი რელიგიური ენერგიის გადართვა არარელიგიურზე, მეცნიერებისა და სოციალური ცხოვრების სხვა სფეროებზე“⁸. თუმცა ამ მოვლენას, რომელსაც პიეტერ ლამბერტი „პოლიტიკურ რელიგიას“⁹ უწოდებს, მსოფლიო ისტორიაში მრავლად მოეძებნება ანალოგები, ისინი ხომ უნივერსალურ არქეტიპებს ეყრდნობა – ძირითადად მეფის სახე-ხატს, რომელიც გრანსცენდენტური ძალების მხარდაჭერით სარგებლობს. სიმბოლოები – ფოლადი, მზე, მესაჭე, არქიტექტორი, მოძღვარი, ჯადოქარი, მშობელი მამა, ომის წლებში – მებრძოლი და მხსნელი (მესია) უნივერსალური სიმბოლოებია, რომლებიც ბოლშევიზმმა აქტიურად გამოიყენა.

მიუხედავად იმისა, რომ ბოლშევიზმში გამარჯვების პირველივე დღეებიდან ცდილობდა ისტორიის თავიდან გადაწერას – „ძველ ისტორიასთან“ კავშირის გაწყვეტას და ახალი გრადიციის შექმნას, რაც ძველი ისტორიის უგულებელყოფაში გამოიხატებოდა, მას მაინც მოუწია „დიდი შემობრუნება“ რუსი ხალხის ისტორიისაკენ. მეფის ხატის რეაბილიტაცია სწორედ სტალინის კულტის აღმშენებლის იწყება – 30-იანი წლების შუა ხანებიდან. ამ პერიოდში ვითარდება სახელმწიფოში ორიენტირებული პატრიოტული იდეოლოგია, რომელიც ასოცირდება ცარისტულ „ველიკოდერჟავიესა“ და რუსოცენტრიკულ გრადიციებთან, რომელსაც მ.ნ. როუგინი „ნაციონალურ ბოლშევიზმს“ უწოდებს. სტალინის მითითებითა და მოთხოვნით ისტორიის სახელმძღვანელოებში შედის რუსული ისტორიის „დიდი ფიგურები“ – იოანე მრისხანე, ალექსანდრე ნეველი, პეტრე დიდი¹⁰.

⁶ Pisch, A. (2016) *The personality cult of Stalin in Soviet Posters, 1929–1953*. Australian National University Press, p. 3

⁷ Бердяев, Н (1955) Истоки и смысл русского коммунизма. Париж: Репринтное воспроизведение издания YMCA-PRESS, p. 100

⁸ იქვე გვ.19

⁹ Pisch, A. (2016) *The personality cult of Stalin in Soviet Posters, 1929–1953*. Australian National University Press, p. 21

¹⁰ BRANDENBERGER D. L. and DUBROVSKY, A. M. (1988) 'The People Need a Tsar': The Emergence of National Bolshevism as Stalinist Ideology, 1931–1941. *EUROPE-ASIA STUDIES*, 50 (5): 873–892

როგორც ჩანს, იოანე მრისხანეს ფიგურა სტალინისთვის გამორჩეული იყო, რადგან ხალხის სულის გადასარჩენად მოვლენილი გირანის სახე-სიმბოლო მუსტად ირეკლავდა იმ იდეას, რომლის განსხეულებას საბჭოთა რეალობაში თავად წარმოადგენდა. იოანე მრისხანემ, რომელიც თვითმპყრობელობის ყველაზე საუკეთესო თეორეტიკოსი იყო, შექმნა მართლმადიდებლური სახელმწიფოს კონცეფცია, რომლის მიხედვითაც მეფეს უნდა ეზრუნა თავისი ქვეშევრდომების სულთა გადარჩენაზე. ეკლესიის ფუნქცია სახელმწიფომ შეითავსა. ასეთი მეფის სახე-სიმბოლო საჭიროებდა უფრო ძლიერ სტიმულს და სტალინის დავალებით სერგეი ეიზენშტეინის შეუკვეთეს ფილმი „იოანე მრისხანეს“ გადაღება, რომლის სცენარიც თავად სტალინმა დაამტკიცა¹¹.

სტალინის სახე-ხაგმა დაიწყო მმართველობის აბსოლუტიზმის გამოხატვა, რომელიც ორთოდოქსულ-თვითმპყრობელური ნაზავის დოქტრინაზე იდგა. ყოვლისშემძლე ბელადის ფიგურისადმი ხოცების აღვლენამ კანონიკური ფორმები მიიღო ლომუნგებში, პოსტერებსა თუ მასზე დაწერილ ლიტერატურულ ტექსტებში.

„ხელოვნების მუშაკთა“ უზარმაზარი არმია ჩაერთო პროპაგანდისტული მანქანის მუშაობაში, როგორც „ახალი ადამიანის“ შექმნის ფსიქონეინები და ფსიქოკონსტრუქტორები. ხელოვნებისა და მეცნიერების სფეროთა ამ გაფართოებულ მუშაობაში სტალინი თავად მონაწილეობდა. ის ნახულობდა ყველა ფილმს, სანამ ის ეკრანებზე გამოვიდოდა და გასცემდა ნებართვას, ან ვეგოს ადებდა, მისი შენიშვნებისა და მითითებების მიხედვით ხშირად იცვლებოდა ეპიზოდები, ის თავად აკონტროლებდა და არედაქტირებდა სლოგანებს პრესაში დაბეჭდვამდე, შეჭმონდა კორექტივები სამეცნიერო ნაშრომებში.¹²

დიდი გეროის (1937-1938 წწ.) დაწყებამდე სტალინის ფიგურის პეროიზაციამ უკვე დასრულებული სახე მიიღო. მისი სახე-ხაგის თაყვანისცემა რელიგიური კულტის მსახურებას დაემსგავსა. ღმერთისა და მირონცხებული მეფის ხატი სტალინის ფიგურამ მიითვისა, თუმცა ქრისტიანული რწმენის კონცეპტებიდან უცნაურად გაქრა მისი მთავარი მახასიათებლები: სიყვარული, თანადგომა, წყალობა. შეიცვალა სამართლიანობის ცნება. ახალი აღთქმის წყალობაზე დამყარებული სამართალი ძველი აღთქმის შურისმაძიებელმა და და მრისხანე ღმერთმა ჩაანაცვლა. აქცენტი გადავიდა „ყოვლისშემძლეობასა“ და „ყოვლისმომცველობაზე“ და შესაბამისად, საბჭოთა ადამიანს ამ ყოვლისშემძლე ფიგურის თაყვანისცემა დაევა.

მასებში ამგვარად დამუშავებული სახე-ხაგის ინდოქტრინიზაციამ „ახალი ადამიანის“ ტიპი ჩამოაყალიბა, რომლის მთავარი მახასიათებელი იყო მონური მორჩილება. საზოგადოებრივ ცნობიერებაში ეს მოვლენა, ერთი მხრივ, ბადებდა არარაციონალურ რწმენას ბელადის პეროიკული და მისტიკური ფიგურის მიმართ, მეორე მხრივ კი გამოუვალე მდგომარეობის შეგრძნებას.

თუმცა ამ საყოველთაო ოდებით განდიდებული ხაგის გვერდით საბჭოთა ხელოვნებაში მაინც იქმნება „ანტი-ხატი“, რომელიც პოსტსაბჭოთა დროში უფრო სიცოცხლისუნარიანი აღოჩნდა. ესაა მ. ჯავახიშვილის ჯაყო და მ. ბულგაკოვის ვოლანდი. თუ ამ სახეების სიმბოლურ შრეებს

¹¹ Марьямов Г. (1992) Кремлёвский цензор. Сталин смотрит кино. (недоступная ссылка) — М.: Конфедерация союзов кинематографистов «Киноцентр» — ISBN 5-7240-0043-1.

¹² Pisch, A. (2016) *The personality cult of Stalin in Soviet Posters, 1929-1953*. Australian National University Press, p. 29-30

დავაკვირდებით, შეიძლება აღმოვაჩინოთ, რომ ის კონტურები, რომლითაც „ღიალი ბელადის“ ხატი დაიწერა, ამ სახე-ხატებშიც განმსაზღვრელია. მხედველობაში მაქვს უძლეველობისა და აქედან გამომდინარე – გარდაუვლობის/გამოუვალი მდგომარეობის ხაზი და მეორე – მისტიკური შარავანდელი, რომელიც კიდევ უფრო აძლიერებს უძლეველობის კონცეპტს.

მიხეილ ჯავახიშვილმა „ჯაყოს ხიზნები“ 1924 წელს დაასრულა. ტექსტი ამავე წელს დაიბეჭდა ჟურნალ „მნათობში“ და შემდეგ 1925 წელს გამოიცა პირველად ცალკე წიგნად. ავტორი რომანზე 20 წელი მუშაობდა, ამიგომ ჯაყოს სახეში სტალინის პორტრეტის მოაზრება უფრო გვიანდელი მოვლენა უნდა იყოს და არა მწერლის ჩანაფიქრი, თუ ერთგვარ პროფეტიკულ სახესთან არ გვაქვს საქმე, როგორცაა ლოსტოვესკის „ეშმაკნის“ თუ რობერტ მუზილის „უთვისებო კაცის“ პესონაჟთა სახეები, რომლებმაც წლების შემდეგ შეისხეს ხორცი ბოლშევიკებისა და ნაცისტების რეალურ გარემოში.

ჯაყოს სახე რომანის დასაწყისშივე ჩნდება. ის თითქოს საიდანღაც მოსულ ზღაპრულ დევს ჩამოჰგავს:

ჯაყო ჯივამილი ქალაქში შემოვარდნილ დათვს ჰგავდა. დედაბოძივით სქელი და გაჩაჩხული ფეხები ძლივს იმაგრებდნენ უშნოდ და ისე განივრად დადგმულ თეძოებსა და მხარ-ბეჭს, რომ ვიწრო გროტუარი მარგო ჯაყოს ძლივს იგეგდა.

რამდენიმე ნაჭრილობევით დასერილი თავი და პირსახე ისეთი შავის, ხშირისა და აბურძენილის ჯაგრით ჰქონდა შემოსილი, თითქო ჯაყოს ბეჭებზე კუპრში ამოვლებული უუბარმაზარი ზღარბი აცოცებულებო.

შავი ჯაგრის ბუჩქნარი თვალებამდე სწვდებოდა და იმ ჯაგნარიდან მხოლოდ ხარის თვალებს, წინ-წამოყრილ ცხენის კბილებსა და აჭყლეტილ ცხვირს ამოეყოთ თავი.

ერთი მტკაველის სიგრძე უღვაშები გადმოზრუნებულ ჯამებივით გამოყრილ ლოყებზე გაცვეთილ ცოცხებივით ეყარნენ, ხოლო იმ ჯამებს ღინჯად და მედიდურად ლამბაქების ყურები დასცქეროდნენ.

შუბლი დაბალი და ჩაზნექილი ჰქონდა; ცხვირი – მოკლე და აჭყლეტილი; თვალები – მსხვილი კაკლის ოდენა და ამოყრილი, თანაც ცოცხალი და ცულლუკი, მოელვარე და მოუსვენარი;

თვალებს ზედ დასწოლოდა დაბურვილი, ხშირი და გრძელი წარბების ღარი, რომელიც მაღალსა და წინ-წამოვარდნილ კვინიხზე შუაზე გადაგხილიყო.

თავთ ეხურა ყავისფერი ოსური ნაბდის ქედი, განთ ეცვა ოსური შალის გაპოხილი ჩოხა, ხოლო ფეხებზე – ხალვათი პაიჭები, თათრული ჭრელი წინდები და ახლად ნაყიდი დაბახანური ჩუსტები.

ერთი ადლის სიგრძე და ვერცხლით შეჭედილი თეიმურაზის პაპისეული ხანჯალი გლანქსა და ბეჭგანიერ გოლიათს ხალვათ სიარულისთვის თეძოზე ჩამოეკიდნა.

ჯაყოს ერთ ხელში რკინით ნაჭედი მაჯის სისტე კომბალი ეჭირა, ხოლო მეორე იდლიაში ჭედილა – ცხვარი ამოეჩარნა, რომელიც ისე აღვილად მიჰქონდა, თითქოს ის ცხვარი ვარიამზე მძიმე არ ყოფილიყო. ბეჭებზე რუსული თოფი ჰქონდა გადაგდებული, გულმკერდსა და წელზე სამი სავაზნე ჰქონდა შემორტყმული, ხოლო თეძოზე გრძელი მაუზერი ეკიდა.

კომბალი და ჭედლია ხალხური ზღაპრისა და ქრისტიანული სიმბოლოების სინთეზია. რუსული თოფი ბეჭებზე და თედოზე – თეიმურაზის პაპისეული ხანჯალი ძველი და ახალი საბრძოლო იარაღების შერწყმამზე მიუთითებს. განზე ოსური ჩოხა, თავზე კი ოსური ნაბდის ქუდი უნებურად „ვეფხისტყაოსნიდან“ გადმომხტარი გარიელის ანტი-სახელ შეიძლება იყოს აღქმული (მას განსაკუთრებით ემოსა გარე-თმა ვეფხის გყავისა, ვეფხის გყავისა ქუდივე იყო სარქმელი თავისა). მისი ამბოზი გარეგნობა ხალხური გეპირმეცველებისთვის დამახასიათებელ პრიმიტიული უხეში ძალის მახასიათებელ ნიშნებს ატარებს, თუმცა მასში სუსტად, მაგრამ მაინც გამოსჭვივის მისტიური „ბნელი ძალის“ ელემენტები.

ამ ელემენტების გამძაფრება იოსიფ მანდელშტამის ლექსის ალუზიაში ჩნდება, სადაც პოეტი ჯაყოს ტიპურ უკვე დიდი ბელადის ხატად ნათლავს 1933 წელს.

Мы живём, под собою не чуя страны,

Наши речи за десять шагов не слышны,

А где хватит на полразговорца,

Там припомнят кремлёвского горца.

Его толстые пальцы, как черви, жирны,

И слова, как пудовые гири, верны,

Тараканы смеются глазища

И сияют его голенища.

А вокруг него сброд тонкошеих вождей,

Он играет услугами полулюдей.

Кто свистит, кто мяучит, кто хнычет,

Он один лишь бабачит и тычет,

Как подкову, кует за указом указ:

Кому в пах, кому в лоб, кому в бровь, кому в глаз.

Что ни казнь у него — то малина,

И широкая грудь осетина¹³.

¹³ ჩვენ ვცხოვრობთ ისე, რომ ველარა ვგრძნობთ ფეხქვეშ ქვეყანას.

ჩვენი სიტყვები ათ ნაბიჯზე უკვე ინთქმება.

სადაც კი მაინც სანახევროდ ლაპარაკობენ

კრემლის მთიელის გასასხენებლად.

ქონიანი თითები რომ მაგლებს მიუგავს.

ფუთიანი საწონების ჭახაჭუხი გიჭედავს ყურებს,

როცა საუბრობს.

მხელი სათქმელია, განსაზღვრა თუ არა ჯაყოს სტალინთან ასოცირებამ მ. ჯავახიშვილის ბედი, ხელადა თუ არა ღიდი ბელადი საკუთარ ანარეკლს ჯივანშვილის სახეში, მაგრამ გვიანსაბჭოთა და პოსტსაბჭოთა საზოგადოების ცნობიერებაში რომანის პოპულარობის მრღასთან ერთად, ის უკვე მყარად ყალიბდება, როგორც ანტი-ხაგი, რომელიც ღიალი სტალინის ხატის ხატს ანაცვლებს.

ბელადის უფრო დახვეწილი და მისტიფიცირებული ანტი-ხაგი მიხეილ ბულგაკოვმა შექმნა ვოლანდის სახით თავის ცნობილ რომანში „ოსტაგი და მარგარიტა“. წიგნი ღიდი ტერორის პერიოდში დასრულდა და ღლის სინათლე არ უნახავს 1967 წლამდე. მისი სრული ვერსია პარიზში გამოქვეყნდა.

სტალინისა და ბულგაკოვის ურთიერთობა უცნაური წინააღმდეგობებითაა სავსე და ღლემდე კვლევის საგანია. ცნობილია, რომ 1920-იან წლებში იოსებ ბესარიონოვიჩი არ ეწინააღმდეგებოდა და მეტიც, ხშირად ესწრებოდა ბულგაკოვის „თეთრი გვარდიის“ მიხედვით შექმნილ სპექტაკლს „ტურბინების ღლეები“, რასაც გულმღღარე ბოლშევიკი მწერლების გულისწყრომაც კი გამოუწვევია. სტალინი ასე ხსნის ამ უცნაურ დაშვებას ბილ ბელოცერკოვსკისადმი მიწერილ წერილში: „რაც შეეხება თავად პიესას, „ტურბინების ღლეები“ - ის არც ისე ცუდია, რადგან სარგებელი მეტი მოაქვს, ვიდრე ზიანი. ნუ გავიწყდებათ, რომ ძირითადი შთაბეჭდილება, რომელსაც ეს პიესა მაყურებელს უტოვებს, ბოლშევიკებისათვის ხელსაყრელია: „თუკი ისეთი ადამიანებიც კი, როგორც ტურბინები არიან, იძულებულნი ხდებიან დაყარონ იარაღი და ხალხის ნებას დაემორჩილონ, რითაც საკუთარ წაგებას აღიარებენ - ეს ნიშნავს, რომ ბოლშევიკები უძლეველნი არიან, მათთან ვერაფერს გააწყობ“. „ტურბინების ღლეები“ ბოლშევიკების უძლეველობის დემონსტრაციაა. მართალია, ავტორი ამის დემონსტრირებაში დამნაშავე არაა, მაგრამ ჩვენ ეს რაში გვაინტერესებს“?¹⁴

ამ წერილში კარგად ჩანს სტალინის მთავარი მიზანი - ანგისაბჭოთა განწყობების (ან მერყევი) ადამიანებში ბოლშევიკთა უძლეველობის მითის დამკვიდრება და, შესაბამისად, შემგუებლობისა და ნიჰილიზმის დანერგვა.

ვოლანდის სახე-ხაგი უკვე ბელადის მისტიფიკაციის მცდელობაა. მისტიკური საბურველი და ღემონების თემა ბულგაკოვის აღრეული შემოქმედებისთვისაცაა დამახასიათებელი („Дьяволиада“), თუმცა სატანის ასე გამოკვეთილი სახე-სიმბოლო „ოსტაგი და მარგარიტას“ კუთვნილებაა. არსებობს თვალსაზრისი, რომ ეს რომანი ბულგაკოვმა პირაღად სტალინს მიუძღვნა - „რომანი ერთი მკითხველისთვის“¹⁵, თუმცა ამაზე საუბარი შორს წაგვიყვანს.

როცა იცინის, გარაკნები კრთიან თვალეზში
და ულაპლაპებს ჩექმების ყელი.
გარს შემორტყმია წვრილფეხობა - პაწაწეკა ბელადთა ჯოგი,
ნახევარკატა მორთმეულით ღაღობს, ერთობა.
ვიღაც ფშიგინებს, ვიღაც კნავის, ვიღაც ზღუქუნებს.
ის კი გრუხუნებს, აკაკუნებს,
გეგონება, გრღმღზე ჭეღავდეს დასგა-დასგა ბრძანებულებებს -
ვის საზარღულში ღაუმიზნებს, ვის - შიგ შუბლში, ვის - წარბსა და თვალში ესობა.
სჯის და კაიფობს
ოსის ფართო, გაშლილი მკერდი. (თარგმანი - რ.კ.)

¹⁴ ответ Билль-Белоцерковскому. Сталин. Сочинения. Т. 11, 327-329

¹⁵ Открытый урок с Дмитрием Быковым - «Булгаков. Роман для Сталина». 25 октября 2014. <https://ru-bykov.livejournal.com/2015279.html> (ნანახია 20 იანვარი 2021)

ვოლანდის ფიგურა ნაწარმოების დასაწყისშივე არსაიდან ჩნდება. სხვადასხვა რაკურსით დანახული მისი სახე თითქოს ხელიდან სხლდება. თვითმხილველთა აღწერით ეს გიპაჟი ურთიერთგამომრიცხავი გარეგნული მახასიათებლების ნაკრებია: ერთი აღწერით ის იყო ღაბაღი, ოქროსკბილეებიანი და კოჭლობდა მარჯვენა ფეხით, მეორე აღწერით ის იყო ძალზე მაღალი, პლაგინის კბილებით და კოჭლობდა მარცხენა ფეხით. მესამე აღწერილობით მას არანაირი განსაკუთრებული მახასიათებლები არ აღენიშნებოდა. საბოლოოდ ავტორი თავად გეთავაზობს ვოლანდის გარეგნობის აღწერას: სუფთად გაპარსული, მაღალი შავგვრემანი მამაკაცი სამღვარგარეთულ განსაცმელში, რომელსაც მარცხენა მხარეს პლაგინის კბილები ჰქონდა, მარჯვენა მხარეს კი ოქროსი, მარჯვენა თვალი – შავი, მარცხენა კი – მწვანე¹⁶. ამ ორსახა იანუხის სიმბოლურ სახეს ემატება წარბისა და პირის ასიმეტრია. ასეთია ზეციდან მოვლენილი ბოროტების აბსოლუტი.

ვოლანდის სახე დიამეტრალურად უპირისპირდება პროპაგანდისტული ფუნჯით შეთითხნილ სტალინის ფიგურას არა მარტო კეთილი/ბოროტი ძალის კონტექსტით (აბსოლუტური ბოროტება – აბსოლუტურ სიკეთეს) არამედ თავისი მრავალშრიანი და მრავალწახნაგისი შიგთავსით – მარგივ და სქემატურ კონსტრუქციას, რომელიც პოსტერებში, ლომუნგებში, ძეგლებში იჭედებოდა.

თუმცა სტალინის კეთილსა და ბოროტ სახე-ხატებს მაინც აერთიანებს მთავარი კონცეპტი – ყოვლისმომცველი ძალა, რომელსაც ორივე სიმბოლო ასხივებს. ესაა ერთი მედლის ორი მხარე, რომელიც საბჭოთა მოქალაქის მასობრივ ქვეცნობიერში ღრმად ჩაიბეჭდა და როცა საბჭოთა სახელმწიფო ამოყრავდა, მედალიც გადმობრუნდა და აბსოლუტური სიკეთის ხატი აბსოლუტური ბოროტების მხარეს გადმობრუნდა. ამგვარად დანახულმა ბელადმა, ჩვენი ამრით, დიდწილად განსაზღვრა პოსტსაბჭოთა პერიოდში გოგალიგარული წარსულის გაამრების პროცესი.

„ჯაყოს ხიზნებიცა“ და „ოსტაგი და მარგარიტაც“ პოპულარობას ნელ-ნელა იხვეჭს 1960-იანი წლებიდან, როცა „პიროვნების კულგი“ დაიგმო და სამოგადოებრივ ცნობიერებაში მარქსიზმ-ლენინიზმის იდეურ მორჩილებას მხოლოდ ღუნე ინერციის სახე შერჩა.

ჯაყოსა და ვოლანდის სახე-ხატთა ელემენტები შეიძლება დავიჭიროთ გვიანსაბჭოეთში შექმნილ ანგისაბჭოთა ფილმში, „მონანიება“, რომელიც თენგიზ აბულაძემ 1984 წელს გადაიღო. ფილმის სიმბოლურ ქარგაში „მკვდარი ნარჩენი“, რომლის თავიდან მოშორებაც არ ხერხდება, არის გირანი, რომელიც გრანსცენდენტური ბოროტების სიმბოლური შტრიხებითაა მოხაზული.

გვიანსაბჭოური თუ პოსტსაბჭოური ანგისაბჭოთა განწყობები საქართველოში სწორედ „გირანი-მსხვერპლის“ კონცეპტს მოერგო და ამ ჭრილში დაიწყო გოგალიგარიზმის გაამრება. ამის მაგალითია ოკუპაციის მუზეუმის კონცეფციაც – უხეში ბოროტი ძალის წინაშე დაჩოქილი უმწეო საქართველო (ვახტანგ კოტეგიშვილის სკულპტურა).

ჯაყო საიდანღაც მოდის. ვოლანდიც – არსაიდან ჩნდება. ორივე უცხოა. ჯაყო – ოსია (აქ სტალინის სავარაუდო წარმომავლობაა ხაზგასმული), ვოლანდი – ზებუნებრივი ძალა. სამოგადოება მსხვერპლის როლშია. მართალია, დამსახურებულად (ვერც მ. ჯავახიშვილს ვერ ვუსაყვედურებთ, რომ ქართული სამოგადოების დაჩაჩანაკება და დაუძლურება არ აღწერა და ვერც მ. ბულგაკოვს, რომ რუსული საბჭოთა სამოგადოების მანკიერებები დაინდო), მაგრამ ძალა, რომელმაც იგი მიითვისა თუ

დასაჯა, მაინც გარე ძალაა და არა ამ საზოგადოებიდან ამომრდილი, განსხვავებით თ. ლოსტოვესკის ეშმაკთაგან, რომლებიც იმ მრუდე იდეებმა, ზნეობრივმა გახრწნამ დაბადა, რაც საზოგადოების წიაღში აღმოცენდა.

ამ უძლეველი გარე ძალის სიმბოლო საკმაოდ კომფორტული აღმოჩნდა საბჭოური ანტისაბჭოთა განწყობების მქონე საზოგადოებისთვის ტოტალიტარიზმის შეფასების მარტივი ფორმულის შესაქმნელად, რომელიც დაახლოებით ასე გამოიყურება: არსაიდან მოვლენილმა ბოროტმა გირანმა გაანადგურა „ნაღები საზოგადოება“. საკითხის ასე გამარტივება ისევ საბჭოეთის უძლეველობის მითთან მიბრუნებას ჰგავს. „მაოხარი მკვდარი“ ისევ ამოუთხრელია და ცოცხალი ამრისთვის ადგილს არ ტოვებს.